ცილისწამება ქართველებზე
(1903 წელი)

I

მკითხველს ეხსომება „Грузин“-ის წერილი, დაბეჭდილი ერთს სატახტო გაზეთში „Петербурския Ведмости“. ეხსომება ისიც, რომ ამ წერილში ყველაზე საზიზღარი და მავნებელი ის იყო, რომ ავტორი მოურიდებელი პირით ატყობინებდა რუსეთის საზოგადოებას: საქართველოში არის მთელი გუნდი რუსების მოძულეთაო („Кагал русофобов“). როცა „ცნობ. ფურცელში“ წავიკითხეთ დაგმობა ამ ყოვლად საზიზღარის ცილისწამებისა, ჩვენ ვიგრძენით ნამდვილი სიამოვნება; მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება და მწუხარება, როდესაც მსგავსივე უსამართლობა ამოვიკითხეთ ცოტა ხნის შემდეგ ამავე გაზეთში შესახებ ქართველების მტრულის განწყობილებისა სომხებთანა. ამ გაზეთის ერთმა თანამშრომელმა აღმოაჩინა ქართველთა შორის და საჯაროდ, ხმამაღლა აღიარა სომეხთა მოძულე დასი. „დაე, მათ თავი გაუბჟუონ ჩვენს ჭაღარა-შერთულს ინსტიტუტკებს, რომელნიც იმავე წამსვე შეიყვარებენ ყველას, ვინც კი ქართველს რაინდად მოიხსენიებს და სომეხს აძაგებს“.- ეს სიტყვები მაშინათვე იქმნა გადათარგმნილი სომხურს გაზეთებში და აგრეთვე რუსულშიაც, რომელიც კი სომეხთა რედაქტორობით გამოდის; მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თარგმანში სომხების ძაგებამ, სომეხთა მოძულეობამ ქართველების მიერ დაიჭირა პირველი ადგილი, ფრაზის თავში მოექცა.

ცილისწამება „Грузин“-ისა და უსამართლობა „ცნობ. ფურცლისა“ ერთის თვისებისაა და მავნებლობით ერთმანეთს არ დაუვარდება. კიდევ ჰო, ჰო, რომ ამ დაწამებაში მცირეოდენი სიმართლე მაინც მოიპოვებოდეს; მაგრამ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნიან რუსთა ერის და სომეხთა ერის მოძულეთა. არიან ქართველებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსის სომხებისა და რუსებისა, როგორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა; მაგრამ რა აქვს ამას საერთო ეროვნულს სიძულვილთან? „Грузин“-ის ცილისწამება გულს უმღვრევს და აბოროტებს ქართველებზე რუსებსა, „ცნობის ფურცლის“ ჭორი სომხებს ააფთრებს იმავე ქართველებზე. ორივენი ღვარძლსა სთესენ, სამშობლოს მტრებს უმრავლებენ დიდს ზარალს აძლევენ ჩვენს ქვეყანასა.

ეს ერთი.

II

მეორე ცილისწამება „ცნობის ფურცლისა“ ბევრად უარესია პირველზედ... საგანი მეტად დიდმნიშვნელოვანია და მკითხველი არ უნდა დაგვემდუროს, თუ ცოტა შორიდგან ვიწყებთ საუბარსა...

ერთს უკვე დაბეჭდილს ისტორიულ-პუბლიცისტურს წიგნაკში, რომელიც ამ ცოტა ხანში ეღირსება დღის ნათელსა, ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებსა:

„რაც საქართელომ თავი შეისწავლა დედამისი ზურგზე, მისს დევიზად თავის დღეში არ ყოფილა ქელვა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონავება, მიწასთან გასწორება რომელისამე მეზობლის ერისა. ჩვენის ერის ხმალი მღელვარებდა მხოლოდ თავის დამოუკიდებლობისა და თვისუფლების დაცვისათვის. თუ ოდესმე დროთა ვითარება იძულებულს ჰხდიდა საქართველოს შემოეერთებინა თავისთან რომელიმე უცხო ქვეყანა, იგი ანიჭებდა ამ ქვეყანას სრულს თვითმმართველობას და ხელშეუხებლად იცავდა ყოველს მის უფლებასა. ოღონდ კი შემოერთებული ერი ერთგული ყოფილიყო ჩვენის ხელმწიფისა, ჩვენის სამეფოისა, თორემ სხვა არაფერი მოეთხოვებოდა. რა ენაც უნდოდა, იმაზე ლაპარაკობდა; რა სარწმუნოებაც სწამდა , იმას აღიარებდა. ძალის დატანება აზრადაც არავის მოსდიოდა ჩვენში. თვით შუა საქართველოში მოქცეულნი უცხოთა და ტომთა შვილნი თავისს თავს ისევე არხეინად ჰგრძნობდნენ, როგორც თვით ქართველები…

„როდესაც განათლებულს საფრანგეთში ჰუგენოტებს უწყალოდ ჰჟლეტდნენ და ესრედ წოდებულ ბართლომეს საღამოს ჰმართავდნენ, როდესაც სახელოვანს ინგლისში კათოლიკენი უწყალოდ იდევნებოდნენ და იმუსრებოდნენ, ამ დროს საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველაფერში გათანასწორებულნი ქართველებთანა: ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება, და, ასე განსაჯეთ, მემკვიდრეობითაც კი ეჭირათ მაღალი ადგილები ჩვენს სამეფოში. ამგვარივე შეღავათით, ამისთანავე თავისუფლებით სარგებლობდნენ თვით ებრაელებიც, თუმცა მათი წინაპრების ხელით ჯვარცმულ იქმნა მაცხოვარი, რომლის სიყვარული და თაყვანება მეტად ძლიერი იყო ქართველთა შორის. ამ ქრისტეს მკვლელების ჩამომავალთაც კი ისეთივე მყუდრო ცხოვრება ჰქონდათ ჩვენში, როგორც თვით ქართველებს: და მათ ერთხელაც არ გამოუცდიათ ის დევნა და ჟლეტა, ის „погромы сврейские“, რომლის მსხვერპლად ხდებოდნენ იგინი და ახლაც ხდებიან ევროპასა და მეტადრე რუსეთში“...

დიაღ, ქართველები ხშირად ექცეოდნენ ერთმანეთს უსამართლოდ და უდიერად; მაგრამ სხვა ტომის ხალხებს კი ხათრით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. და ეს პატივისცემა და ხათრი მით უფრო მატულობდა და ჩვენში, რამდენიც უფრო ღონიერი და ძლიერი იყო საქართველო, როგორ, მაგალითად, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროსა…

ხათრის მთესველნი უხვი ხელით ხათრსავე უხვად ვიმკიდით. ჩვენის სახელმწიფოს ერთგულებაში ქართველებს არ დაუვარდებოდნენ არამც თუ სომხები და ებრაელები, არამედ თვით ჩვენებური თათრებიც კი, თუმცა თათრულს სახელმწიფოებთან ქართველებს განუწყვეტელი ომი ჰქონდათ. ამასთან ეს ერთგულება ლიტონი, უბრალო როდი იყო. მას აზავებდა, ამკობდა იმისთანა ნაზი გრძნობა, როგორც სიმპატია, გულითადი თანაგრძნობა, მეგობრული განწყობილება.

წარსული საუკუნის დასაწყისიდან ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა: ჩვენი ცალკე მყოფი სამეფო სხვა დიდის სახელმწიფოს ნაწილად გარდაიქცა. მაგრამ კავკასიელის ხალხების სიმპატიას და ხათრსა დღემდინ არ უკლია. ამას კარგად ჰგრძნობდა თვით რუსეთის

მთავრობა და ამის გამო ახლად შემოერთებულს კავკასიის ქვეყნებში მმართველად ჰნიშნავდა ქართველებსა, რათა უფრო ადვილად შეერიგებინა თავისთან გუშინდელი მტრები.

როცა მეტად საშიში დაღესტანი დაიმორჩილა რუსეთმა ხმლითა, აქ ოლქის უფროსად დანიშნა არა რუსი, არა რომელიმე უცხო ტომის შვილი, არამედ ქართველი - თავ. ლევან მელიქიშვილი. თუმცა მთელის მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში დაღესტანი და საქართველო ერთმანეთს ებრძოდნენ თითქმის ყოველ დღე, მაგრამ ისტორიული ხათრი კავკასიელებისა ქართველთადმი იმდენად ძლიერი იყო დაღესტანშიც, რომ ლეკებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს მელიქიშვილი, სრული ნდობა გამოუცხადეს, თუმცა ის დიდი ჭრილობანი, რომელიც დაღესტანს დააჩნდა რუსეთისგან, ჯერ ცოტა-ოდნადაც არ იყო გამთელებული. როცა მელიქიშვილმა სამაგალითო ტაქტიურის მართვით დიდი მადლობა დაიმსახურა ლეკებისაგანაც და მთავრობისაგანაც, და გადმოყვანილი იქმნა უმაღლესს ადგილზედ, სახელდობრ მთავარმართებლის თანაშემწედ, მის მოადგილედ. დაღესტანში დაინიშნა ისევ ქართული- ნიკო ჭავჭავაძე, რომელიც ლეკებმა აგრეთვე სრულის სიამოვნებით მიიღეს, და მისს დროს ისე სასტიკად იცავდნენ მშვიდობიანობას, რომ ვერ ერთი კავკასიის ნაწილი ვერ დაიკვეხებდა ამისთანა მყუდროებასა... ეხლაც ორივეს სახელი დაღესტანში დიდი პატივით იხსენიება.

როცა თხუთმეტი წლის წინად საყოვეთაო აღწერის დროს საჩაჩნეთი აჯანყდა და მზად იყო სულ მთლად გაჟლეტილიყო, ვიდრე დაჰმორჩილებოდა მთვარობის ნებას, იქურმა მთავრობამ, შემდგარმა არაქართველთაგან, ვერაფერი გააწყო, ვერასგზით ვერ მოახერხა ხალხის დამშვიდება. ჩაჩნებს არა სწამდათ არც ერთი სიტყვა, არც ერთი აღთქმა თავის მმართველებისა, რომელნიც შუაკაცებით მოქმედობდნენ და პირადს მოლაპარაკებას ვერ ბედავდნენ, და თუნდაც გაებედნათ, უბედურობის მეტი არაფერი გამოვიდოდა აქედგან, რადგანაც ხალხი სიბრაზით იყო სავსე, დღეს თუ ხვალ სისხლის ნაკადულები უნდა დაღვრილიყო. მაშინ ხელმწიფე იმპერატორმა ჯარის უფროსად დაჰნიშნა ქართველი- თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი. გაჩნდა თუ არა იგი თავისს ადგილზედ, შუაკაცები უკან ჩამოაყენა, და თვითონ პირადად გაეჩქარა აღშფოთებულს და ბრაზით სავსე აჯანყებულებში იმ იმედით, რომ ტრადიციული პატივისცემა მთიელთა ქართველთადმი თავისას გაიტანდა. და არც მოსტყუვდა: ყოველი მისი დარიგება მამობრივ დარიგებად მიიჩნიეს, ყოველს მის სიტყვას ერწმუნენ, ყოველს მის აღთქმას ენდნენ, და ორი დღის განმავლობაში ბრაზით სავსე ბრბო გარდაიქცა მშვიდობიან კაცთა კრებულად და დამორჩილდა წესსა და რიგსა.

ეხლაც თურმე დიდი მადლობით მოიგონებენ ჩაჩნები საქართველოს შვილის ღვაწლს, რომელმაც ისე სავსებით შეასრულებინა მთავრობას ყოველი დაპირებანი, რომ ახლა ჩაჩნები კეთილდღეობით გაცილებით სჯობიან ყველა თავისს მეზობელს ხალხებსა.

ამისთანა მაგალითებით თუნდა მთელს წიგნს გაავსებს კაცი... ჰკითხეთ თუნდა იმათ რომელთაც თათრის პროვინციებში უცხოვრიათ, და ისინი დაგარწმუნებენ, რომ, როცა თათარები შეიტყობენ - უფროსად გურჯი დაგვინიშნესო, ნამდვილს სიხარულს აცხადებენ.

ეს უტყუარი სიმპატია კავკასიონის ხალხებისა ჩვენდამი უძვირფასეს თანხას შეადგენს. თუ ძლიერნი ეძებენ მოკავშირეებს, მით უფრო სანატრელნი არიან იგინი იმისთანა მისუსტებულ ერისთავის, როგორიც ვართ დღეს ქართველები. მართალია, ქართველებს პოლიტიკური ბრძოლა არავისთან არ მოელის, მაგრამ მოყვარენი და მოკავშირენი არა ნაკლებ არიან საჭირონი ეკონომიურს, სოციალურს და ეროვნულ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ, თუნდაც რომ ეს აცილება ძალიან გულით გვინდოდეს. ავიღოთ თუნდა ჰაიასტანის ბურჟუაზია. ამ ძლიერმა კლასმა დაიჭირა ყველა ქალაქები აღმოსავლეთის საქართველოსი, ხელთ იგდო სამოქალაქო თვითმმართველობა, თითქმის მთელს ფულს კავკასიისას თავისას ჯიბეში მოუყარა თავი, მაგრა ჩარუჯა ვაჭრობა და ბოლოს ხანებში სოფლის მამულებსაც ხარბად ჰყიდულობს. ერთი სიტყვით, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საქართელო სომეხთა სამშობლოდ გარდააქციოს, და შემდეგ კავკასიის სხვა ხალხებსაც ხელიდან გამოაცალოს ყოველი ის, რასაც უფრო მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს. ამ თავისს გულის წადილს იგი უწევა უსათუოდ, თუ ქართველობა ამ ბურჟუაზიას არ ალაგმავს, ფხიზლად და მედგრად არ იბრძოლებს თავის მამა-პაპურ საკუთრების დასაცველად. ამ ალაგმას კი მეტად ძლიერის კლასისას ქართველობა მხოლოდ მაშინ შესძლებს, როდესაც ეყოლება მომხრენი, თანამგრძნობნი, მოკავშირენი, ამისთანა მომხრეებად ყოველთვის იქნებიან კავკასიის ყველა ხალხები, თუ ქართველობამ შეირჩინა ის სიმპატია, ის ტრადიციული თანაგრძნობა, ის მამა-პაპური პატივისცემა, რომელის მათში ღვივოდა წინად და ღვივს ახლაც.

ამიტომ, ყოველი უკუღმრთი ნაბიჯი რომელისამე ქართულის პერიოდულის გამოცემისა, რომელსაც შეუძლიან მტერს ხელში მისცეს იარაღი ჩვენს წინააღმდეგ, შეარყიოს ეს მოყვარული განწყობილება კავკასიის ერებისა ქართველობისადმი და ძირი გამოუთხაროს მათ ხათრს და პატივისცემას ჩვენდამი, უნდა ჩაითვალოს არა მარტო შეცდომად, არამედ მეტად მძიმე დანაშაულობად.

სწორედ ამგვარი მძიმე დანაშაულობა ჩაიდინა „ცნობის ფურცელმა“ ამას წინად... მისმა მეფელეტონემ, მუდმივმა თანამშრომელმა და რედაქციის წევრმა, არა ერთხელ გაშანშხლა და მოაჭორა, ვითომც ქართველი ნაციონალები და პატრიოტები მტრულის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი ყველა კავკასიის ხალხებისადმი. მათ იმდენად სძულთ ეს ხალხებიო, რომ თუ უფლება იგდეს ხელში, ყველას მიწასთან გაასწორებენ, გაანადგურებენო...

არა გჯერათ? გადაშალეთ თუნდა N1902 „ცნობის ფურცლისა“ და ფელეტონის მეოთხე გვერდზე და ამოიკითხავთ შემდეგს მარგალიტსა:

„მათ, დიდებულის წარსულის და ბრწინვალე მომავლის ქართველებს და თავგამოდებულს პატრიოტებს, როგორ ეკადრებათ ვიღაც სომხებთან და თათრებთან ერთობა? მათ შეჰფერით მხოლოდ ბატონობა და, თუ უნდათ ერთობა, ისეთი ერთობა, სადაც პირველობა მათ ექნებათ მინიჭებული. დღეს თუ ეს ჩვენი ნაციონალისტები უკიჟინებენ სუვორინს და კამპანიას ერთა მჭამელობას, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ხვალ რომ გარემოებამ შემთხვევა მისცეს მათ სუვორინს თუ არ გადააჭარბებენ, არ ჩამოუვარდებიან მაინც სხვათა ერთა წინააღმდეგ „საჭირო“ ზომების მიღებით, - და, თუ დღეს გაუბედავად „ეკონომიურს“ მშვიდობიანს ბოიკოტს

თხოულობენ სომხების წინააღმდეგ, მაშინ უფრო სასტიკ საშუალებასაც იხმარებენ და დევნას, შევიწროებას და განადგურებას დაუწყებენ ყველა კავკასიელს ერსა“

ეს დაბეზღება ქართველებისა შეადგენს ცილისწამებას არამც თუ თათრების და სხვა კავკასიელის ხალხების წინაშე, რომლებზედაც არც ერთს ქართულს გამოცემას ბოროტი არ უთქვამს რა და ვერც იტყოდა, არამედ თვით სომხების შესახებაც, არც ჩვენ და არც სხვა ვისმე ქართულს მწეროლობაში სომხის ერის წინააღმდეგ კრინტიც არ დაუძრავს; პირიქით, ყოველთვის თანაგრძნობით გვიხსენებია და სხვებსაც უხსენებიათ ეს მრავალტანჯული ერი. ჩვენი ნაციონალური მწერლობა ამხილებდა და ამხილებს სომეხთა ბურჟუაზიის ანგარებას, გაუმაძღრობას, ექსპლოატაციას , და ასახელებდა მხოლოდ კულტურულს ღონისძიებას მათს ასალაგმავად. „ცნობის ფურცელმა“ კი სომეხთა ბურჟუაზია სომხის ერად აქცია, ზედ დაუმატა კავკასიის ხალხები და ყველა მათის შეჭმისა და განადგურების წყურვილი გადააბრალა ქართველს პატრიოტებსა, და ისიც ბარბაროსული, მხეცური ღონისძიებით.

და დახეთ რა მარჯვედ ისარგებლეს ჩვენის ეროვნების მოწინააღმდეგეებმა ამ საარაკო უკუღმართობით… მათ ზეციურ მანანად ჩასთვალეს ეს ცილისწამება, სწრაფად გამოსჭიმეს იგი თავის გაზეთებში არა მარტო სომხურს ენაზედ, არამედ რუსულზედაც, არა მარტო თბილისში, არამედ ბაქოშიაც და ყველა კავკასიის ხალხს შეაგონეს დახეთ, დახეთ თვით გულწრფელი ქართველები გულუბრყვილოდ აღიარებენ, რომ ქართველ პატრიოტებს თქვენა სძულხართ და, თუ ხელში ძალა იგდეს, შეგჭამენ და სულ მიწასთან გაგასწორებენო. ამ ვერაგულს ღაღადებას ბანი მისცა პეტერბურგში სელივანოვმა, რომელმაც დააბრალა ქართველობას, ვითომც ესენი ყველა კავკასიის ხალხებს გაქართველებას უპირობდნენ, და გაჩაღდა ანტიქართული კონცერტი იმ აშკარა განზრახვით, რომ ტრადიციული სიმპატია ქართველთადმი ყველა კავკასიელებისა შეასუსტონ, შეარყიონ და ძირიანად აღმოფხვრან.

შეგნებული ქართველობა ძნელად დაივიწყებს, რომ ამ ანტიქართულს კონცერტში პირველი ხმა ეკუთვნოდა ქართულს გაზეთს „ცნობის ფურცელსა“ და მისს თანამშრომელს „მეგობარსა“.